ეროვნული ბიბლიოთეკა


# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 31. კვირა 10 მარტი 1902 წ. გაზეთის № 1748.






**ვასილ აბაშიძე**

ქართულ სცენაზე 25 წლის მო-ღვაწეობის იუბილე.

### იქ უძლურია

სადაც წყვდიადი მხარ-გაშლილია,
კაცობრიობა დამონებული,
ოქრო და ვერცხლით კაცთა ღირსება
მოწონებული, დაფასებული;
სადაც უძლური ღონე-მიხდილი,
სიცივ-შიმშილით, ძლივს ახელს თვალებს,
სისხლის ცრემლები, მათგან ქცეული
ცოდვილსა მიწას ნამავს, ასველებს;
სადაც მაშვრალთა მგვინვარე კვნესას
ქარი ზუზუნით მიაქრიალებს,
და სად ტანჯულთა უცოდო სისხლი
ნაკადულივით ჩამოჩხრიალებს;

სადაც ძალაა აღმართის მხვნელი,
აზრი, გონება შეხუთულია,
ძმობა, ერთობა და სიყვარული
შეუგნებლად განკიცხულია;
სად მეფობს მხოლოდ მტარვალთ სიმკაცრე
და სათნოება დაჩრდილულია,
სადაც ბრჭყიალა არარაობა
მაღალსა სერზე ამართულია;
სადაც იუდა დაჰქრის, დარბაზობს,
მიჰნიჭებია პატივ-დიდება,—
ოჰ, მაცხოვარო! იქ უძლურია
შენი უკვდავი ჭეშმარიტება!...

**კატო მიქელაძე**

# ოცდახუთის
# ვასო აბაშიძე სხვა



**ოსეფა.**
„მე მონად შევქნილვარ ერთისა მზისა"...
(„მათიკო" ცაგარლის კომ).



**აკოფა.**
ა. ცაგარლის კომ. „ხანუმა"



**მურზავეცკი.**
ოსტროვსკის კომედიიდან—„მგელი და ცხვარნი".



**მიკირტუმა.**
გ. ერისთავის კომ. „გაყრა".

## წლის იუბილეი. და სხვა როლში.



**გასტონი.**
ფრანგ. მელოდრამიდან „პარიზის ღარიბ-ღატაკნი".



**გასტონი**
ფრანგ. მელოდრამიდან „პარიზის ღარიბ-ღატაკნი".



**კარაპეტა.**
[illegible]



**კარაპეტა**
[illegible]

**რამდენიმე მოხელე.**—ამ ქაღალდზე ხელი მოაწერეთ...

**უფროსი.**—აბა მაგეებისათვისა მცალიან?! ათასი სერიოზული საქმე მაქვს—ინსტრუქციას ვწერ სტოროჟებისათვის: როგორ დაგავონ ოთახები, როდის და როგორ უნდა აანთონ ფეჩები და სხვ. თვალ-ყურს ვადევნებ მოხელეთ თავის დროზე თავ-თავიანთ ადგილას ისხდნენ... თუნდა ნურას გააკეთებენ, ბუზები ჰთვალონ, ოღონდ კი ფეხმოუცვლელად ისხდნენ! არა მცალიან, არა!... მთელ გამგეობაში მარტოთ-მარტო ვარ!...




**მარგანეცის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტი**



**მარგანეცის მრეწველნი.** ჯერ მაგ ავანსიდან დაგვირიგე ფული ბატონო, და მერეც ქე მოვასწრებთ დოგოვორზე ხელის მოწერას. გიორგი, შენ ნუ მოუკვეტები ჩემ თავს, ასთე აჯობებს.

**საბჭოს თავმჯდომარე.** ეჰ რავა შეიძლება!... კაპეიკს ვერ მიიღებთ ხელის მოწერამდე!...

**მარგანეცის მრეწველნი.** აწი და რაა, შენი ყმა ხომ არა ვართ, ქეა ჩვენია და უხაზეინოთ ვინცხა წეიღებს, ქე ენახავთ!...

საბჭოს თავმჯდომარე.—დაწყნარდით, ბატონებო, ყველანი მიიღებთ ჩეკებს.

— ყველეი ქე მივიღებთ, მარა რესტორანჩიკი სულს მახთენს, თუ ძმობა გწამდეს, გიორგი, ძე გამიშვი ჯერ.

**ისევ ჭიათურაში**




— ვაი ცოლო და შვილო! ასე იცის, ბიძიკელა, გოროდის ცხოვრებამ!..

**ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგად. სადგომის წინ**



მარგანეცის პატრონნი ფულის მიღების შემდეგ.

გამომცემელი და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.